

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ევროფუდი” შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 92. შპს “ევროფუდი”-ს ძირითადი საქმიანობაა საქონლით ვაჭრობა/რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „ ქვეყნის ფულად ერთეულებში (ფე).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის საგადასახადო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას, ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებული საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახადო მოგების საფუძველზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში. გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, საგარაუდოდ, გაერცვლდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას, ან

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითადალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.

დირექტორი:



ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე

ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის

(ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

დირექტორი:

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის

პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“

(„ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

4. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

დირექტორი:

5. ამონაგები

2020 2019

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	2045249	2757891
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	222978	185482
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	0	19800
ამონაგები	2268227	2963173

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 2019

სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

1799257 2258093

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2020 2019

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	283289	469063
საიჯარო ქირა	76317	241602
სხვა მარაგების ხარჯი	5091	27266
კომუნალური ხარჯები	38916	67494
კომუნიკაციის ხარჯები	1351	2505
ადმინისტრაციული ხარჯები	5553	32760
რეკლამის ხარჯები	1361	643
ბანკის საკომისიო	1005	2369
წარმომადგენლობითი ხარჯი	675	903
სხვა საერთო ხარჯები	45837	31435
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	459395	876040

8. არასაოპერაციო შემოსავალი

2020 2019

სულ არასაოპერაციო შემოსავალი	12377	19800
------------------------------	-------	-------

9. არასაოპერაციო ხარჯი

2020 2019

საპროცენტო ხარჯი	0	4172
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	366	50078
სულ არასაოპერაციო ხარჯები	366	54250

დირექტორი:



<u>10. მოგება/ზარალი</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
--------------------------	-------------	-------------

საანგარიშო პერიოდის მოგება /ზარალი	21586	31484
წინა საანგარიშო პერიოდის დაუფარავი მოგება/ზარალი	22949	- 8535
მოგება/ზარალი საანგარიშო წლის ბოლოსათვის	44535	22949


<u>11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
---------------------------------------	-------------	-------------

დებიტორული დავალიანება	55549	59380
------------------------	-------	-------

<u>12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
--	-------------	-------------

გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური		
მარაგები საანგარიშო წლის ბოლოსათვის	228523	346687
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	228523	346687

დირექტორი:



13 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება

1 იანვარი 2020 წ	50089
31 დეკემბერი 2020წ	40071
შემოსვლა	6281
გასვლა	0
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	
გაუფასურება	0
წლიური ცვეთა	10018
(ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2020წ	40071

14. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა:

თვითღირებულება

1 იანვარი 2020წ	7921
შემოსვლა	0
გასვლა	0
31 დეკემბერი 2020წ	7921

დირექტორი:



<u>15. ჩვეულებრივი იჯარა</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
------------------------------	-------------	-------------

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული

საიჯარო გადასახდელები, რომლებიც

მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	76317	138449
-----------------------------------	-------	--------

<u>16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები</u>	<u>2020</u>	<u>2019</u>
--	-------------	-------------

ფულადი სახსრები საღაროში	30115	25679
--------------------------	-------	-------

ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	31694	13051
-------------------------------------	-------	-------

ფულადი სახსრების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	61809	38730
--	-------	-------

დირექტორი:



მოგება & ზარალი

2020 2019

შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	2268227	2943373
სხვა საოპერაციო შემოსავალი	2268227	2943373

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	1799257	2258093
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება ფასდათმობა	1799257	2258093

საერთო მოგება	468970	685280
---------------	---------------	---------------

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
შრომის ანაზღაურება	283289	341244
საიჯარო ქირა	76317	138449
სხვა მარაგების ხარჯი	5091	16536
კომუნალური ხარჯები	38916	48618
კომუნიკაციის ხარჯები	1351	1596
ადმინისტრაციული ხარჯები	5553	1811
რეკლამის ხარჯები	1361	953
ბანკის საკომისიო	1005	1488
წარმომადგენლობითი ხარჯი	675	1157
სხვა საერთო ხარჯები	45837	67494
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	459395	619346

სულ საოპერაციო მოგება	9575	65934
-----------------------	-------------	--------------

არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12377	19800
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	12377	19800

არასაოპერაციო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	0	4172
არასაოპერაციო ხარჯი/ზარალი	366	50078
სულ არასაოპერაციო ხარჯები	366	54250

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი

21586 31484

დირექტორი:



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	2020	2019
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	61,809	38,730
სავაჭრო მოთხოვნები	55,549	59,380
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
მარაგები	228,523	346,687
- მზა პროდუქცია	228,523	346,687
- სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	7,921	7,921
ძირითადი საშუალებები	40,071	50,089
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	393,873	502,807

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები		
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	(411,516)	(470,739)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	(440)	
საგადასახადო ვალდებულებები	(3,503)	(3,946)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	(5,173)
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	(415,459)	(479,858)

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(22,949)	8,535
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(21,586)	(31,484)
პერიოდის მოგება/ზარალი		
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები	(44,535)	(22,949)
სულ საკუთარი კაპიტალი	(459,994)	(502,807)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		

დირექტორი:

